ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის

საბჭოს სხდომის ოქმი N4

ქ. ამბროლაური

04 ნოემბერი 2022 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1) ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ასლან საგანელიძე.
2) საბჭოს მდივანი-ბელა აბაიშვილი

საბჭოს წევრები:

მამუკა ხიმშიაშვილი, გიორგი გოძიაშვილი, სიმონ ჭელიძე, ბაქარ ბაკურაძე, მაია კაციტაძე, ნათია მარგველიძე, ესმა მაისაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გენდერულ საკითხებში მარინე ჯაფარიძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი მარიკა დვალი, მაკა გოგობერიშვილი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, ორგანიზაციის ,,ქალი და რეალობა" და რაჭის სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ამბროლაურის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გაიმართა ორგანიზაცია ,,ქალი და რეალობა" ინიციატივით, რომლის მისია არის – შშმ ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობის გათანაბრება საზოგადოების სხვა დანარჩენი წევრების უფლებებსა და შესაძლებლობასთან. შეხვედრის მიზანი გახლდათ საბჭოსთვის პროექტის ,, ქალების ძალა- ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობა ინკლუზიური საზოგადოებისთვის საქართველოში" გაცნობა.

შეხვედრას ორგანიზაციის ,,ქალი და რეალობა" წარმომადგენლები უძღვებოდნენ.

სხდომის თავმჯდომარე- ასლან საგანელიძე

სხდომის მდივანი- ბელა აბაიშვილი.